დროშა
(შიდა მოხმარების)

1-დროშა 200 სმ×300 სმ შიდა მოხმარების (ბახრამით)

2-დროშა 100 სმ×150 სმ შიდა მოხმარების (ბახრამით)

დროშა - ორმაგი, ფოჩით, დამზადებული ატლასის მსგავსი ქსოვილისგან (პოლიესტერი), ბეჭდვა ციფრული, სუბლიმაციური, ორი ერთმანეთზე გადაკერილი დროშა, მეორე მხარე სარკისებური გამოსახულებით. თანდაყოლილი სარჩულით, პერიმეტრზე შიგ ჩაყოლებული ოქროსფერი 4 სმ-იანი აბრეშუმის ფოჩით, ორგვირისტიანი შემოკერვით. დროშის მარცხენა მხრიდან ვერტიკალურად მიკერებული მყარი ზონარით. დროშის თავში და ბოლოში მიკერებული კაუჭებისათვის განკუთვნილი თოკ-სამაგრით.

დროშაზე გამოყენებული ლურჯი ფერი შესაბამისობაშია RGB-0.53.148. Hex-003 594 -თან.

დროშა

1-დროშა 200 სმ × 300 სმ გარე მოხმარების

2-დროშა 100 სმ × 150 სმ გარე მოხმარების

დროშა - (პოლიესტერი), ბეჭდვა ციფრული, სუბლიმაციური, პერიმეტრზე ორგვირისტიანი შემოკერვით, დროშის მარცხენა მხრიდან, ვერტიკალურად მიკერებული მყარი ზონარით, მთელ სიგრძეზე კაუჭებისთვის განკუთვნილი მიკერებული სამაგრით (ლუვერსებით). დროშის დაბოლოებებში პერპენდიკულარულად (კუთხეებში) თანდაყოლილი აეროდინამიური ზონრებით.

დროშაზე გამოყენებული ლურჯი ფერი შესაბამისობაშია RGB-0.53.148. Hex-003 594 - თან.

პლანშეტი №21

აკადემიის დროშა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №6
2023 წლის 13 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №990 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №990 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2013, 140130000.22.034.016241) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებულ №10 დანართს დაემატოს №21 პლანშეტი თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი **ვახტანგ გომელაური**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 8 23 00485146

20/02/2023

საქართველოს პარლამენტთან არსებული
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ მამუკა გონგაძეს

მის: ქ.თბილისი,0114; სანაპიროს 4
ელ-ფოსტა: heraldika@parliament.ge

ბატონო მამუკა,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს შსს აკადემიამ უზრუნველყო სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს - დროშის ესკიზის შემუშავება და დამტკიცება. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 13 თებერვლის N6 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №990 ბრძანებაში, რომლის მე-10 დანართს დაემატა N21 პლანშეტი. მითითებული ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ.გვერდზე (სარეგისტრაციო კოდი: 140130000.22.034.017334, თარიღი 13.02.2023).

"სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დანართის სახით წარმოგიდგენთ ზემოთ აღნიშნულ ბრძანებას.

დანართი: „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა

მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №990 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქარ თველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 13 თებერვლის N6 ბრძანება.

პატივისცემით,

სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის
რექტორი ივანე პაპიაშვილი